Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№26, თებერვალი, 2024

რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ რუსული მიგრაციის ტალღის გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ ცხოვრებაზე (თბილისელი ახალგაზრდების მაგალითზე)

ვერიკო გურჩიანი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: gurchianiveriko@gmail.com

აბსტრაქტი

რუსეთ-უკრაინის ომის მიერ გამოწვეული პრობლემებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მიგრაციის საკითხი. ომის დაწყებიდან დღემდე, მიგრაციის ტალღა გაძლიერდა - რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეებმა სამშობლო სხვადასხვა მიმართულებით დატოვეს. რადგანაც მეზობელ სახელმწიფოში შემოსვლა რუსეთის მოქალაქეებისთვის სირთულეს არ წარმოადგენს, მიგრანტების დიდი ნაწილი სწორედ საქართველოს მიმართულებით წამოვიდა: ნაწილმა საქართველო სატრანზიტო ქვეყანად გამოიყენა, ნაწილი კი - ხანგრძლივად დარჩა. საქართველოში რუსების მასობრივ შემოდინებასთან დაკავშირებით აზრები იყოფა: საზოგადოების ნაწილი აღნიშნულ ფენომენს დადებითად ახასიათებს და ყურადღებას ეკონომიკურ ფაქტორებზე ამახვილებს, ნაწილი კი პოლიტიკურ საფრთხეს ხედავს. კვლევის მიზანია იმის შესწავლა, თუ რა გავლენა მოახდინა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ რუსი მიგრანტების შემოსვლამ თბილისის მაცხოვრებლების სოციალურ მდგომარეობაზე. მიზნობრივად შეირჩა 29 მონაწილე და ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი. გამოვლინდა, რომ ჩრდილოეთიდან მომავალი პოლიტიკური საფრთხეები რუსული მიგრაციის ტალღის გაძლიერების შემდეგ უფრო რეალური და მასშტაბური გახდა. რუსი მიგრანტების ყველა სფეროში ინტეგრაციით ნელი ტემპით მიმდინარეობს საქართველოს რუსიფიკაციის პროცესი, საფრთხის ქვეშ დგება ქართველების ეროვნული თვითმყოფადობა და სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის ომი; მიგრაცია; ოკუპაცია; რუსიფიკაცია.

შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრით მასშტაბური ომი დაიწყო, 21 სექტემბერს კი რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოცხადდა. ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადებამ რუსეთის მოქალაქეებს სამშობლოს დატოვებისკენ უბიძგა - ასობით ათასი რუსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, შუა აზიასა და ევროპაში წავიდა (Darieva & Golova, 2023). რუსული მიგრაციის ერთ-ერთ პოპულარულ დანიშნულების ადგილად საქართველო იქცა. მიგრაციის მასშტაბებზე წარმოდგენას ქმნის ცვლილებები შრომის ბაზარზე. 2023 წლის პირველ ნახევარში საქართველოში 6 539 რუსული კომპანია დარეგისტრირდა. 2022 წლის მარტის შემდეგ საქართველოში სამჯერ მეტი რუსული კომპანია დარეგისტრირდა, ვიდრე 1995-2021 წლებში (Transparency International Georgia, 2023).

საქართველოში მიგრირებული რუსები სამშობლოს დატოვების მიზეზად, ძირითადად, რუსეთის პოლიტიკურ რეალობას, რუსეთ-უკრაინის ომსა და ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადებას ასახელებენ. ისინი, როგორც წესი, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები არიან, რომლებიც

ტექნოლოგიურ სფეროში მუშაობენ (Silagadze, 2023). ხშირად ვხვდებით მოსკოვიდან და სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოსულ მამაკაცებს. ფაქტობრივად, ემიგრაციაში წავიდნენ რუსეთის ყველაზე განათლებული, აქტიური, კრეატიული ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეები (Krawatzek et al., 2023).

რუსული არმიის უკრაინაში შეჭრამ ქართველებს 2008 წლის ომი გაახსენა. შესაბამისად, რუსული მიგრაციის პირველ ტალღას ისინი არაკეთილგანწყობილად შეხვდნენ: თბილისში გაიმართა უკრაინის მხარდმჭერი დემონსტრაციები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოიფინა უკრაინის დროშები, შეიქმნა საერთო ანტირუსული ატმოსფერო (Zanatta, 2023).

საქართველოში რუსების მასობრივ შემოდინებასთან დაკავშირებით აზრები იყოფა: საზოგადოების ნაწილი აღნიშნულ ფენომენს დადებითად ახასიათებს და ყურადღებას ეკონომიკურ ფაქტორებზე ამახვილებს, ნაწილი კი პოლიტიკურ საფრთხეს ხედავს. ერთი რამ ცხადია, რომ რუსეთის მოქალაქეთა საქართველოში მიგრაცია საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ პროცესებზე გავლენას ახდენს. წინამდებარე კვლევის მიზანი სწორედ ამ გავლენის თბილისელების პერსპექტივიდან შესწავლაა.

ლიტერატურული მიმოხილვა

კვლევის მიხედვით, სამხრეთ კავკასიაში მიგრირებული რუსები საშუალო კლასს განეკუთვნებიან (Kuleshova et al., 2023). ასრულებენ საშუალო კლასისთვის დამახასიათებელ სოციალურ პრაქტიკებს, როგორებიცაა, მაგალითად, კეთილმოწყობილი ბინების დაქირავება, ტრანსპორტირებისთვის ტაქსის გამოყენება და ძვირადღირებულ რესტორნებში ვახშმობა. რუს მიგრანტებს აქვთ შესაძლებლობა, საცხოვრებელი ქვეყნის შეცვლის შემდეგ დისტანციურად მუშაობა გააგრძელონ და ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით მაღალი შემოსავალი ჰქონდეთ. მათ აქვთ სოლიდური საბანკო დანაზოგები. მიგრანტთა ფინანსური შესაძლებლობები აისახა საქართველოსა და სომხეთში უძრავ ქონებაზე ფასების ზრდაზე (Kuleshova et al., 2023). ზემოთქმული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმაც არაერთხელ აღნიშნეს.

წინამდებარე კვლევის მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ ადგილობრივი თბილისელების ნეგატიური დამოკიდებულება რუსი მიგრანტებისადმი ამ უკანასკნელთა პრორუსული/ანტიდასავლური ორიენტაციითაა განპირობებული. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა კვლევის ფარგლებში გამოკითხული რუსი მიგრანტები, როგორც წესი, არაკეთილგანწყობილნი არიან რუსული პოლიტიკისადმი. გამოკითხულთა 90% რუსეთის ხელისუფლებას არ ენდობა. რუსეთის ხელისუფლებისადმი უნდობლობა ერთგვაროვანია და არ ვარირებს სქესით, ასაკით, განათლების დონით განსხვავებულ ჯგუფებში (Silagadze, 2023).

რუსი მიგრანტების მცირე ნაწილს სამოქალაქო აქტივიზმის გამოცდილება აქვს. მათთვის მიგრაცია წარმოადგენდა საშუალებას, თავი დაეღწიათ პოლიტიკური რეპრესიებისთვის და აქტივიზმი სხვა ქვეყანაში გაეგრძელებინათ, მაგალითად, ჩართულიყვნენ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში. აქტივიზმი რუსეთ-უკრაინის ომის დროს გამკაცრებული ცენზურის პირობებში გართულდა (Darieva & Golova, 2023). სოციალურ-პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებული მიგრანტებისთვის რუსეთის მოსახლეობისადმი ხმის მიწვდენა, რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული.

სომხეთში მიგრირებულ რუსებს სამოქალაქო აქტივიზმის მეტი გამოცდილება აქვთ, ვიდრე - საქართველოში. ასევე, მიგრაციის შემდეგ სომხეთში უფრო ადევნებენ თვალს პოლიტიკურ სიახლეებს და ერთვებიან დისკუსიებში, ვიდრე - საქართველოში. რუსეთის მოსახლეობასთან შედარებით, სომხეთსა და საქართველოში მიგრირებულ ჯგუფებს უფრო ლიბერალური ორიენტაცია აქვთ, გმობენ რუსეთ-უკრაინის ომსა და, ზოგადად, რუსეთის ხელისუფლებას (Krawatzek et al., 2023).

რუსული მიგრაციის ტალღისადმი მთავრობის პოლიტიკა ლოიალურია. მაგალითად, გერმანია პრიორიტეტს ანიჭებს რისკის ქვეშ მყოფ რუს მიგრანტებს (ხშირად, სამოქალაქო აქტივისტებს) და მათ სთავაზობს თავშესაფარს, საქართველოში კი მიგრაციის ნაკადის კონტროლი ან კონკრეტული პოლიტიკური წარსულის მქონე მიგრანტებისთვის პრიორიტეტის მინიჭება არ ხდება (Darieva & Golova, 2023). სამთავრობო პოლიტიკა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გააკრიტიკა სალომე ზურაბიშვილმა: ისტორიულად ტოლერანტმა საქართველომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს რუსული მიგრაციის მიმართ, რადგან სამომავლოდ რუსეთმა მიგრაციის დიდი მასშტაბები ომის დაწყების წინაპირობად არ გამოიყენოს (Meduza, 2023).

მიგრაციის ტალღის წინააღმდეგ ლოიალური სამთავრობო პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს იმიჯს აზიანებს. ვარაუდობენ, რომ სამომავლოდ დასავლური სახელმწიფოები საქართველოს ნაკლებად დაეხმარებიან, ხოლო რუსული გავლენა გაიზრდება. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეხვდება (Kakachia & Kandelaki, 2022).

რუსი მიგრანტებისადმი ადგილობრივი საზოგადოებების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება გერმანიასა და საქართველოში. საქართველოში რუსი მიგრანტი რუსულ იმპერიალისტურ მენტალიტეტთან ასოცირდება. მიგრაციისადმი ქართული სკეპტიციზმის გამო მიგრანტები ერიდებიან ქართველებთან ინტერაქციას, შესაბამისად, ვერ აშენებენ წარმატებულ სოციალურ ურთიერთობებს (Darieva & Golova, 2023). შეიძლება ითქვას, რომ რუსი მიგრანტების სოციალური ინტეგრაციის ნაცვლად, მიმდინარეობს მათი სოციალური იზოლაცია.

რუსული მიგრაციის ტალღა აძლიერებს საქართველოს ეკონომიკურ დამოკიდებულებას რუსეთზე, რუსეთი კი ეკონომიკური ურთიერთობებით ცდილობს პოლიტიკური გავლენის გაფართოებას (Transparency International Georgia, 2023). საქართველოს ეკონომიკა მიგრაციის ტალღის შემდეგ

ნამდვილად გაიზარდა, თუმცა ეს დადებითად მხოლოდ ცალკეული სოციალური სტრატების ცხოვრებაზე აისახა, საშუალო ქართველის ეკონომიკური მდგომარეობა კი გაუარესდა. ხელისუფლება მიგრაციას ეკონომიკურ შესაძლებლობად მიიჩნევს, მოსახლეობა კი - საფრთხედ. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა რუსული მიგრაციის მხოლოდ მოკლევადიანი დადებითი შედეგია. თუ რეგულაციები არ გამკაცრდება, საქართველო შესაძლოა მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დადგეს (Kakachia & Kandelaki, 2022).

სამეცნიერო ლიტერატურაში რუსული მიგრაციის დადებითი შედეგები იშვიათადაა ხაზგასმული. აღნიშნულია ეკონომიკური ზრდა, რომელსაც სამომავლო პერსპექტივაში რიგი უარყოფითი შედეგები მოჰყვება. მოსალოდნელი საფრთხე მართლაც შეიძლება იყოს მასშტაბური. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთი დადებითი ასპექტი: რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ რუსეთი პოლიტიკურად ყველაზე აქტიურმა მოქალაქეებმა დატოვეს. ოპოზიციურად განწყობილი მიგრანტები შედარებით ლიბერალურ სახელმწიფოებში დასახლდნენ (მაგალითად, საქართველო). ლიბერალურმა გარემომ შესაძლოა ხელი შეუწყოს პროდასავლურად განწყობილი აქტიური რუსი მიგრანტების გაერთიანებას და, შესაბამისად, პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას (Krawatzek et al., 2023).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია იმის შესწავლა, თუ რა გავლენა მოახდინა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ რუსი მიგრანტების შემოსვლამ თბილისის მაცხოვრებლების სოციალურ ცხოვრებაზე. შესაბამისად, განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- იმის დადგენა, როგორ შეიცვალა თბილისელების ყოველდღიურობა რუსი მიგრანტების შემოსვლის შემდეგ;
- იმის დადგენა, როგორ შეიცვალა თბილისელების მდგომარეობა დასაქმების ბაზარზე რუსი მიგრანტების შემოსვლის შემდეგ;
- იმის დადგენა, როგორ შეიცვალა თბილისელების ეკონომიკური მდგომარეობა რუსი მიგრანტების შემოსვლის შემდეგ;
- იმის დადგენა, როგორ შეიცვალა თბილისელების პოლიტიკური შეხედულებები რუსი მიგრანტების შემოსვლის შემდეგ;
- როგორია თბილისელების დამოკიდებულება რუსი მიგრანტების მიმართ.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებით სხვა შეზღუდვები არ არსებობს.

საკვლევი საკითხის სფეციფიკიდან გამომდინარე შეირჩა ფოკუს-ჯგუფის მეთოდი. ფოკუს-ჯგუფის მეთოდის უპირატესობებიდან წინამდებარე კვლევისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა შემდეგი:

“ფოკუს-ჯგუფი საშუალებას აძლევს რესპონდენტებს, დისკუსიის პროცესში ახალი იდეების გენერირება და ერთმანეთის პასუხებზე რეაგირება მოახდინონ, რაც ვერ მოხდება სიღრმისეული ინტერვიუს შემთხვევაში” (წულაძე, 2020). მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე 29 მონაწილისგან დაკომპლექტდა 4 ფოკუს-ჯგუფი. ფოკუს-ჯგუფების ჩატარების შემდეგ მომზადდა ტრანსკრიპტები. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა შემდეგი ეტაპების მიხედვით: დაჯგუფება, კოდირება, კატეგორიზაცია, ლოკალური ინტეგრაცია და ინკლუზიური ინტეგრაცია.

კვლევის შედეგები

თბილისური ცხოვრების რიტმი

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა პერსპექტივით, რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ თბილისური ყოველდღიურობა შეიცვალა. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები თბილისური ცხოვრების რიტმთან დაკავშირებით, რომლებიც ომის შემდეგ გამწვავდა, დედაქალაქში ხალხის მომრავლება და საცობების გახშირებაა.

ეკონომიკურ, შრომით და პოლიტიკურ ურთიერთობებში ცენტრალური პრობლემების წყარო რუსული მიგრაციის ტალღა არ არის. მიგრაციამ მხოლოდ გაამწვავა ის ძირითადი პრობლემები, რომელთა წინაშეც დედაქალაქი აქამდეც იდგა. არ იგულისხმება, რომ მიგრაციამ თბილისური სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება რადიკალურად არ შეცვალა, პირიქით, სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტზე იქონია გავლენა, თუმცა ძირითადი პრობლემები მიგრაციის ტალღას არ გამოუწვევია.

ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებით ყველაზე პოპულარული კატეგორია (ენობრივი ვითარების ცვლილების შემდეგ) თბილისში ეთნიკური განაწილების ცვლილებაა. 29 მონაწილიდან 24 ამბობს, რომ თბილისში რუსების ნაკადი უპრეცედენტოდ გაიზარდა:

“არ მინდა იმის შეგრძნება იყოს ჩემს ქვეყანაში, რომ 20% კი არა, 100%-ია ოკუპირებული.” - 19 წლის, სამართლის სტუდენტი

მიგრაციის ამგვარმა მასშტაბებმა და, შესაბამისად, ენობრივი გარემოს ცვლილებამ რამდენიმე მონაწილეში საკუთარ სამშობლოში გაუცხოების გრძნობა გააძლიერა. ისინი მშობლიურ გარემოში თავს უცხოდ გრძნობენ:

“ალბათ კულტურული საკითხი არის, როცა [...] გაუცხოების გრძნობა გიჩნდება, როცა ქუჩაში გადიხარ და, ასე ვთქვათ, უცხო გარემოში გრძნობ თავს.” - 19 წლის, პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტი

ეთნიკურად არაქართველებისადმი დამოკიდებულება

მონაწილეები უცხოელი ტურისტების მიმართ, როგორც წესი, კეთილგანწყობილნი არიან. მოსწონთ განვითარებული ტურიზმის მქონე სახელმწიფოს იდეა. ნეგატიური დამოკიდებულება კონკრეტულად რუსი ტურისტების მიმართ აქვთ, რადგან ისინი საქართველოს სოციოკულტურულ ღირებულებებს პატივს არ სცემენ, მაგალითად, არ ცდილობენ, ენა ისწავლონ.

მონაწილეები, როგორც წესი, კეთილგანწყობილნი (ან ნეიტრალურად განწყობილნი) არიან თბილისში მცხოვრები უცხოელების მიმართ. მათ უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ ეროვნებით რუსი უცხოელების მიმართ აქვთ:

"აბსოლუტურად არცერთის [უცხოელის] მიმართ მტრული და კიარა, პირიქით… [...] ძალიან ბევრი აზერბაიჯანელი მეგობარი მყავს მე თვითონაც. ერთადერთი ეროვნება, რომელიც ძალიან ნერვებს მიშლის [...] ეს არის მართლა რუსები. ერთადერთი, ვინც ყოველთვის თვალში მხვდება, რუსები არიან." - 20 წლის, სოციოლოგიის სტუდენტი, კლიენტთა მომსახურების ცენტრში დასაქმებული

მიუხედავად ტოლერანტული დამოკიდებულებისა უცხოელების მიმართ, მონაწილეთა დიდ ნაწილს რუს მიგრანტებთან ურთიერთობის დროს ეუფლება უარყოფითი განცდები: დისკომფორტი, უსიამოვნება, გაღიზიანება და, იშვიათ შემთხვევაში, ზიზღი. ხშირად უარყოფით განცდებს იწვევს რუსულ ენაზე საუბარი, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ქართული ენის მოსმენის ლეგიტიმური მოლოდინი არსებობს. ასევე, ხშირად უარყოფით განცდებს იწვევს მონაწილეთა ქვეცნობიერში ჩაბეჭდილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია, რომელიც რუსებთან ინტერაქციის დროს ახსენდებათ:

"ალაბთ ჩემს ქვეცნობიერს რაღაც ზიზღი აქვს რუსი ხალხის მიმართ სწორედ იმის გამო, რაც რუსების გამო გადაგვხდა ამ ხნის მანძილზე." - 20 წლის, სტუდენტი/პროგრამისტი

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების აზრით, ზოგადად, უცხოელებისადმი ახალგაზრდა თაობა უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე - უფროსი თაობა. რუსებისადმი კი უფროსი თაობა უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე - ახალგაზრდა თაობა. უფროსი თაობა დიდ ძალისხმევას იჩენს, რომ რუსებს დაეხმაროს, რუსულად დაელაპარაკოს. ახალგაზრდების რუსი მიგრანტებისადმი კეთილგანწყობის გადამწყვეტი ფაქტორია რუსების ლიბერალური პოლიტიკური შეხედულებები. ძირითადად, ლიბერალურად განწყობილნი არიან ახალგზარდა რუსები, შესაბამისად, თბილისელი ახალგაზრდების კეთილგანწყობას უმეტესად ისინი მოიპოვებენ:

"მყავს რუსი კურსლებიც და მათი დამოკიდებულება საკამოდ ლიბერალური და დასავლურია. ლექციაზე თვითონაც კი ახსენეს ოკუპირებული ტერიტორიები. ალბათ იმიტომ, რომ ისინიც თაობა ზეტის წარმომადგენლები არიან. ვფიქრობ, უფროსი თაობის წარმომადგენლებშია უარყოფითი დამოკიდებულება, რადგან ცხოვრების დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირში მოუწიათ ცხოვრება." - 18 წლის, ISET-ის სტუდენტი

თბილისელებისთვის რუსების ლიბერალიზმის ინდიკატორებია რუსეთ-უკრაინის ომის დაგმობა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის (რუსული ოკუპაციის) აღიარება. ასევე, მნიშვნელოვანია ქართული ენისა და ქართული ცხოვრების წესის პატივისცემა.

კონტაქტი რუს მიგრანტებთან

მონაწილეთა უმრავლესობა რუსებს ყოველდღიურად ხვდება. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს (აზვიადებს), რომ თბილისში ქუჩაში შემხვედრთა 50% რუსია:

"იმდენად მრავლდებიან, [...] სულ რომ გავიდე ქუჩაში, [...] 10-დან 5 კაცი რუსი იქნება." - 19 წლის, მარკეტინგის სტუდენტი

თბილისელებს რუს მიგრანტებთან ძალიან ხშირი შეხება აქვთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში - კაფე-ბარებში, რესტორნებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და რეკრეაციულ სივრცეებში. რუსული მიგრაციის ტალღა იმდენად გაძლიერდა, რომ მიგრაციის არეალი დედაქალაქის ცენტრიდან გარეუბნებში გავრცელდა.

"რუსთაველი, მთაწმინდა, ცოტა ისეთი უბნები, რომლებიც უფრო ცენტრია, მაგ ნაწილებში კი უფრო აქტიურად არიან, მაგრამ [...] არ გვიკვირს იმიტომ, რომ ტურსიტული ცენტრებია. [...] საინტერესო ალბათ არის ის, რომ უფრო გარეუბნებშიც გვხვდებიან, როგორიც არის გლდანი, დიდი დიღომი. ეგ ძაან გამიკვირდა და ალბათ ეს უჩვენებს იმას, რომ საგრძნობლად გაძლიერდა მათი რიცხვი." - 22 წლის, პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი

თბილისელებს რუს მიგრანტებთან კომუნიკაციის გამოცდილება ნაკლებად აქვთ ენობრივი ბარიერისა და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო. რუსი მიგრანტების ანტიდასავლურობა, ოკუპაციის მხარდაჭერა, რუსეთ-უკრაინის ომის მხარდაჭერა, იმპერიალისტური შეხედულებები განაპირობებს მათდამი თბილისელების არაკეთილგანწყობას და, შესაბამისად, კომუნიკაციის არქონის სურვილს.

"ჩემ გარშემო [არცერთი რუსი] არ უჭერს მხარს ამ ომს, და ეს ხალხი, ძირითადად, საშუალო ფენის წარმომადგენელია რომელიც პუტინის წნეხს გამოექცა რუსეთიდან. მაგრამ არიან იმპერიული აზროვნებით დაავადებული ხალხიც და ფიქრობენ, რომ ისევ საბჭოთა კავშირში არიან და საქართელოც ამ ყველაფრის ნაწილია. [დიდწილად] მაინც არ მსიამოვნებს მაგათთან ურთიერთობა." - 19 წლის, სამართლის სტუდენტი

ქართველებისა და რუსი მიგრანტების ურთიერთობა

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ფიქრობენ, რომ ქართველი ახალგაზრდები უფრო ნეგატიურად არიან განწყობილი რუსი მიგრანტებისადმი, ხოლო უფროსი თაობის წარმომადგენლები - პოზიტიურად. უფროსი თაობის რუსებისადმი კეთილგანწყობა ხშირად გამოიხატება მათ ძალისხმევაში, დაეხმარონ რუს მიგრანტებს, დაელაპარაკონ მათ რუსულად:

"ასაკით დიდი ადამიანები მართლა ენას მოიტეხავენ, შეიძლება რუსული საერთოდ არ იცოდეს, მაგრამ შეიძლება ენა მოიტეხოს, რომ რუსულად დაელაპარაკოს." - 20 წლის, სოციოლოგიის სტუდენტი, კლიენტთა მომსახურების ცენტრში დასაქმებული

რუს მიგრანტებსა და თბილისელებს შორის ინტერაქცია ხშირად კონფლიქტურია. კონფლიქტს შემდეგი საფუძვლები აქვს: ენის ფაქტორი, რუსების პიროვნული თვისებები (ოპორტუნიზმი და ქედმაღლობა), რუსების პოლიტიკური შეხედულებები.

რუს მიგრანტებსა და ქართველებს შორის კონფლიქტზე ფოკუს-ჯგუფების ყველა მონაწილე საუბრობს. უმრავლესობა კონფლიქტის სხვადასხვა საფუძველს ასახელებს, 29-დან მხოლოდ 4 მონაწილე აღნიშნავს, რომ რუსულენოვანთა მიმართ აგრესიის გაკონტროლებას ცდილობენ, რადგან შესაძლოა აგრესიის ობიექტი რუსულენოვანი ადამიანი რუსი სულაც არ იყოს.

"ხშირად მესმის, რომ რუსებმა იქირავეს სახლი და უარს ამბობენ იქიდან გამოსვლაზე. კანონმდებლობა და პოლიცია ყველანაირად უძლურია იმიტომ, რომ კანონში არსებობს ხვრელი, რომელსაც რუსები იყენებენ და ქართველ ერს პირდაპირ ბინებს პარავენ." - 19 წლის, სამართლის სტუდენტი

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

დედაქალაქში მოსახლეობის ზრდამ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადატვირთვა გამოიწვია. ისედაც არასაკმარისი რაოდენობის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებას რუსული მიგრაციის ტალღის გაძლიერების შემდეგ მეტი ადამიანი ცდილობს. ეს პრობლემა დედაქალაქისთვის ახალი არ არის, თუმცა რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ უდავოდ გამწვავდა:

"[საზოგადოებრივი ტრანსპორტი] ყოველთვის გადატენილია და ხან ვის მისდის უჰაერობის გამო გული, ხან - ვის. ყოველთვის საშინელება იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, 200,000 ადამიანი რომ ჩამოვა ქალაქში, რომელიც მილიონნახევარ ადამიანზეა გათვლილი, [...] ტრანსპორტი არ იქნება საკმარისი." - 20 წლის, სტუდენტი/პროგრამისტი

რუსული ენა

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ რუსული ენის გამოყენება სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში სულ უფრო მეტად ნორმირებული ხდება, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, კაფე-ბარებსა და რესტორნებში, დასაქმების სფეროში:

"რამდენი გასაუბრება მქონდა ზაფხულში? ჰმმ… 10! ათივეგან მომთხოვეს რუსულის ცოდნა." - 21 წლის, ეკონომიკის სტუდენტი, ადმინისტრაციული ასისტენტი

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მონაწილე საპირისპირო შეხედულებას გამოთქვამს. მათი აზრით, რუსული ენის მოთხოვნადობა დასაქმების სფეროში შემცირდა. რამდენიმე მონაწილის გამოცდილებით კი, კონკრეტულ სფეროებში, როგორიცაა, მაგალითად, პროგრამირება, რუსული ენის ცოდნა სრულიად არ არის საჭირო.

საინტერესოა, რომ რუსებსა და ქართველებს შორის ენობრივ ბარიერს ერთ-ერთი მონაწილე ქართველებისთვის შესაძლებლობად აღიქვამს. გამომდინარე იქიდან, რომ რუსებსა და ქართველებს კომუნიკაციის პრობლემა აქვთ, რუსები კონკურენციაში ვერ შევლენ ქართველებთან.

რუსებისთვის ქართული ენის სწავლა ნაკლებად მნიშვნელოვანია, რასაც ქართველი ბიზნესმენები ითვალისწინებენ და ფინანსური სარგებლის მოპოვების მიზნით რუსული ატმოსფეროს შექმნას ცდილობენ. ქართველი ბიზნესმენების რუს კლიენტზე ფოკუსირება რუსებთან შედარებით თბილისელების მატერიალური სიდუხჭირის ინდიკატორია. თბილისელები რუსული ენის საქართველოში გამოყენებას პრინციპულად ეწინააღმდეგებიან. მთავარი არგუმენტი, რუსული ენის გამოყენების საწინააღმდეგოდ, რუსული ოკუპაცია:

"რუსული რომ ვიცოდე, მაინც ქართულად დაველაპარაკებოდი, ან მაქსიმუმ გავლანძღავდი რუსულად, რადგან წინააღმდეგი ვარ ჩემს ქვეყანაში რუსულად საუბრის, რუსეთი ოკუპანტია და მორჩა." - 19 წლის, საშუალო განათლების მქონე

პრობლემები რეკრეაციულ სივრცეებში

რეკრეაციულ სივრცეებში, როგორც ჩანს, ქართველი ბიზნესმენები რუს კლიენტებზე უფრო არიან ორიენტირებულნი, ვიდრე - ქართველებზე. ერთ-ერთი მონაწილე ამას შემდეგნაირად ხსნის: რეკრეაციულ სივრცეებში მყოფი რუსებისა და ქართველების შედარებით, შეგვიძლია მათ მკაფიოდ განსხვავებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე/შესაძლებლობებზე ვიმსჯელოთ. საქართველოში მიგრირებული რუსები საშუალო ქართველზე მეტად შეძლებულნი არიან. რუსი მიგრანტების

რეკრეაციულ ადგილებში კონცეტრაცია და ქართველი ბიზნესმენების რუს კლიენტებზე ფოკუსირება სწორედ ამ განსხვავებას ნათელყოფს. სოციალური პრაქტიკები, რომელთაც რუსი მიგრანტები ასრულებენ თბილისში, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს მიუთითებს მათ ადგილზე ეკონომიკური სტრატიფიკაციის სისტემაში და, ფაქტობრივად, ადასტურებს ზემოხსენებულ კვლევას (Kuleshova et al., 2023).

"ეს იმას გვანახებს, თუ რამდენად გაჭირვებულია საშუალო ქართველი ადამიანი, რომ საქართველოში ახლა ჩამოსული 100 000 რუსი საქარათველოს ყველაზე კარგ ადგილებში უფრო დიდ ნაწლს იკავებს, ვიდრე ქართველი." - 21 წლის, პროგრამისტი.

ერთ-ერთი მონაწილის გამოცდილებით, მიგრაციის ტალღის გაძლიერების შემდეგ, მისი საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაგვიანების პრობლემა შეიქმნა. რუსი მიგრანტების ჩამოსვლამდე კონკრეტულ გასართობ პარკში დანაგვიანების პრობლემა არ არსებობდა. მონაწილე ამგვარი ქცევის გამომწვევ მიზეზად რუსების მიერ საქართველოსა და ქართველებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას მიიჩნევს. ეს უპატივცემულო დამოკიდებულება რუსული იმპერიალისტური მენტალიტეტის გამოვლინებად მიიჩნევა.

ცვლილებები სამუშო ბაზარზე

რუსული მიგრაციის ტალღამ ქართულ შრომის ბაზარზე კონკურენცია გააძლიერა. ვაკანსიების დეფიციტი რუსეთ-უკრაინის ომამდეც არსებობდა, თუმცა ახლა თბილისელებს რუსებისთვის კონკურენციის გაწევა უჭირთ. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები ფიქრობენ, რომ რუს მიგრანტებს, თბილისელებთან შედარებით, მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვთ. კონკურენცია გაძლიერდა ასევე რუსულ და ქართულ ბიზნესებს შორის. რუსული წარმატებული კომპანიების ფონზე ქართული მცირე ბიზნესი იჩაგრება. შესაძლოა, კონკურენციის შედეგად ქართული ბიზნესი უფრო განვითარდეს, მაგრამ ეს ჯერ არ მომხდარა:

"რუსები ძაან ბევრ რამეში ქართველებზე ბევრად უფრო განვითარებულები არიან და [...] მათგან შეიძლება ბევრი ვისწავლოთ. [...] თუ ჩვენზე ბევრად კარგები არიან და ქართველებს ასე ვთქვათ აახევენ სამსახურებს, ეს რუსების ბრალი არ არის და პირიქით, [...] ქართველებს მოუწოდებს, რომ უკეთესები გახდნენ თავის საქმეში." - 21 წლის, პროგრამისტი

რუსი მიგრანტი თანამშრომლის მიმართ თბილისელები ნეიტრალურად იქნებოდნენ განწყობილნი, რადგან სამუშაო სივრცეში პიროვნულ დაპირისპირებებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შედარებით პოზიტიურად იქნებოდნენ განწყობილნი რუსი თანამშრომლის ლიბერალური პოლიტიკური ორიენტაციის შემთხვევაში, ხოლო შედარებით ნეგატიურად - რუსული ოკუპაციის მხარდაჭერის

შემთხვევაში. ასევე, მაშინ, როცა რუსები ქართულ პოლიტიკურ თუ სამოქალაქო აქტივისტურ ორგანიზაციაში არიან დასაქმებულნი.

"მე მყავდა რუსი თანამშრომელი. ძაან ჩვეულებრივი ბიჭი იყო, რომელიც რუსეთიდან გამოიქცა, [...] ჯარში გაწვევა არ უნდოდა, სავარაუდოდ, გააგზავნიდნენ უკრაინის ომში. ჩვეულებრივი, კარგი ადამიანი იყო." - 21 წლის, პროგრამისტი

შრომის ბაზარზე რუსი მიგრანტები მხოლოდ პრობლემებს არ ქმნიან. თბილისში ვაკანსიების დეფიციტია, რუსი მიგრანტები კი აქ კომპანიებს აარსებენ და ქართველებისთვის დასაქმების შესაძლებლობებს ქმნიან.

რამდენიმე მონაწილე მიიჩნევს, რომ რუსი მიგრანტების წილის ზრდა ქართულ სამუშაო ბაზარზე პროდუქციის ხარისხს გააუარესებს, რადგან რუსული პროდუქცია უხარისხო პროდუქციასთან ასოცირდება. აღსანიშნავია, რომ დასაქმებაზე საუბრისას მონაწილეები მეტწილად სამუშაო ადგილებზე, დასაქმების შესაძლებლობებზე აკეთებენ აქცენტს. პროდუქციის ხარისხზე ყურადღება მხოლოდ სამმა მონაწილემ გაამახვილა:

"ჩემთვის რუსული, თუნდაც პროდუქცია, ასოცირებდება უხარისხოსთან. [...] მაგალითად, [...] ღვინის ხარისხი გაცილებით გაიზარადა მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეწყვიტა ჩვენი ღვინის მიღება. [...] ეკონომიკური სარგებელი რამდენად მომხიბვლელადაც ჟღერს, [...] იმდენად უარყოფითია ხარისხის მხრივ პროდუქცია." - 20 წლის, სოციოლოგიის სტუდენტი

მონაწილეების მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ რუსების დასაქმება ქართველებს მასობრივად გააღიზიანებს. ზოგიერთი მონაწილე საპირისპირო მოსაზრებას აფიქსირებს, რომ თუკი საქართველო ევროპეიზაციისკენ მიისწრაფვის, სამუშაო სივრცეში მერიტოკრატიის პრიცნიპი უნდა დამკვიდრდეს, შესაბამისად, სამუშაო ადგილი დაიკავოს მან, ვინც იმსახურებს, განურჩევლად ეროვნებისა. უნდა ითქვას, რომ ასეთი პოზიცია ძალიან იშვიათად ფიქსირდება.

"[რუსების დასაქმება] გამოიწვევს ძალიან დიდ უარყოფით დამოკიდებულებას და ნეგატივს [...], იმდენად დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს, რომ არ ვიცი, რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეს ეს ყველაფერი." - 21 წლის, სტუდენტი

ცვლილებები ეკონომიკაში

როდესაც ეკონომიკურ მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, ორი საკითხი შეგვიძლია გავმიჯნოთ: 1. რა გავლენა იქონია რუსულმა მიგრაციამ საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2. რა გავლენა იქონია რუსულმა მიგრაციამ რიგითი მოქალაქეების ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გაზიარებულია მოსაზრება, რომ მიგრაციის ტალღამ ქვეყნის ეკონომიკა გააძლიერა, ასევე, დადებითად იმოქმედა ქართველი ბიზნესმენების, ძირითადად, კაფე-ბარებისა და რესტორნების მფლობელების, ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ამისა, მონაწილეები ეკონომიკის ზრდას ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ გრძნობენ. პირიქით, შეიქმნა დასაქმების პრობლემები, ფასები გაიზარდა საკვებზე, ბინის ქირაზე, ბინის ყიდვაზე, ბენზინზე და, პრაქტიკულად, ყველა ტიპის პროდუქტზე. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა გამოცდილებას აღნიშნულ ეკონომიკურ რეალობაში ზემოგანხილული კვლევაც ადასტურებს (Kakachia & Kandelaki, 2022).

"ჩემი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ამან იქონია გავლენა. ფასები გაიზარდა, ხელფასები - არა. მამაჩემის ბიზნესი, ავეჯის ბიზნესია რა, და ლამინატი (ლამინატი იატაკზე იგება, მგონი გასასწორებელია...)ძაან გაძვირდა. [...] ხშირად მაგიდები რჩება ისე, თვეები დევს ოფისში, ვერ იყიდება. ძვირია და ვერ ყიდულობს ხალხი." - 19 წლის, საჯარო მმართველობის სტუდენტი

"ერთ-ერთ ოჯახის წევრს უნდოდა ბინის ყიდვა, თუმცა [...] ახლა უკვე ძალიან რთული გახდა იმ ფასში, რა ფასშიც ეძებდა, ბინის შოვნა." - 21 წლის, პროგრამისტი

საქართველოსთვის პოლიტიკური სარგებელი თუ საფრთხე

რუსული მიგრაციის ტალღა საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური საფრთხეების წინაშე აყენებს: შიდა დაპირისპირებებისა და ომის საფრთხე, რუსული პოლიტიკური ფესვების გადგმა საქართველოში, საქართველოს იმიჯის დაზიანება საერთაშორისო ასპარეზზე, საქართველოს რუსიფიკაცია. ყველაზე საყურადღებოა რუსული ჯარების შემოჭრის საშიშროება საქართველოში რუსეთის მოქალაქეების დაცვის მოტივით:

"ყველამ ვიცით, რომ პუტინის დევიზია შეიჭრას მეზობელ ქვეყანაში თავისი მოქალაქეების დაცვის მოტივით." - 19 წლის, მარკეტინგის სტუდენტი

მხოლოდ რამდენიმე მონაწილე ფიქრობს, რომ მიგრაცია შესაძლოა ომის დაწყების შემაკავებელი ფაქტორი გახდეს. ერთ-ერთი მონაწილე ჰიპერბოლიზებულად აღნიშნავს, რომ საქართველო პატარა რუსეთად იქცა, ამიტომაც, ნაკლებსავარაუდოა, რომ რუსეთი პატარა რუსეთთან ომს დაიწყებს:

"იმდენი რუსია საქართველოში, რუსეთი პატარა რუსეთს დაარტყამს? ეჭვი მეპარება." - 21 წლის, ეკონომიკის სტუდენტი, ადმინისტრაციული ასისტენტი

რუსი მიგრანტების მასობრივი შემოსვლა და მიგრაციის საპასუხო სამთავრობო ქმედებები საერთაშორისო აქტორების, ევროპული ქვეყნების საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე

უარყოფით გავლენას ახდენს. დაახლოება ისეთ ორგნიზაციებთან, როგორებიცაა ნატო და ევროკავშირი, უფრო რთული იქნება. მიგრაციამ საქართველოს მთავრობის ანტიევროპული პოლიტიკური კურსის შესახებ ეჭვები გააჩინა და სახელმწიფოს იმიჯი დააზიანა:

"რუსების მასობრივი შემოსვლა [...] სხვა ქვეყნების შეხედულებებს ცვლის ჩვენზე. თუნდაც ევროკავშირში რომ გვინდა შესვლა, შესაძლებელია ამან გარკვეული დაბრკოლებები გამოიწვიოს, თუნდაც ნატოში შევსლაზეც. იმიტომ, რომ უკვე ისე ხდება, რომ რუსეთის მხარეს გადავდივართ. - 20 წლის, პროგრამისტი/სტუდენტი.

მონაწილეთა არცთუ მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ რუსული მიგრაციის გაძლიერებასთან ერთად, მიმდინარეობს საქართველოს რუსიფიკაცია. მართალია, საქართველოს რუსული სამხედრო ძალები არ ესხმიან თავს, თუმცა რუსული ენისა და რუსების ამგვარი მომრავლება ქართულ ყოველდღიურობაში რუსეთის გავლენის გაძლიერების ნიშნებია. ქართველების გარუსება, საქართველოს რუსიფიკაცია მიგრაციის რეალური და მნიშვნელოვანი საფრთხეა, რაც, თავის მხრივ, საქართველოს წინააღმდეგ ე.წ. "ჰიბრიდული ომის" შემადგენელი ნაწილია:

"ქვეყანა რომ დაიპყრო, ასე ტანკებს ვერ დააყენებ ქუჩებში.. რუსეთი გვაჩვევს რუსებს და რუსულ ენას. [...] ნელ-ნელა რუსეთის გავლენის ქვეშ მოვექცევით." - 20 წლის, სტუდენტი/პროგრამისტი

საქართველოს მთავრობის პოლიტიკის შეფასება

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების აზრით, პოლიტიკური საფრთხეების პრევენციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა ინერტულია. რუსული მიგრაციის წინააღმდეგ სამთავრობო პოლიტიკა ლოიალურია. პრორუსულად განწყობილი მთავრობის ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში ქართველები მიგრაციის უკონტროლო სოციალური შედეგებისგან თავს ვერ დაიცავენ. სამთავრობო პოლიტიკა საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე ხელს შეუშლის. რუსული მიგრაციის ტალღის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკაა საჭირო:

"ჩვენი პოლიტიკა ასეთია: მტერი არ გავაღიზიანოთ, ომი არ დაიწყოს. მესმის, გვეშინია, მაგრამ პოლიტიკა მაინც აუცილებლად უნდა გამკაცრდეს. არანაირი უვიზო მიმოსვლა, არანაირი რუსული სექტორები." - 19 წლის, საშუალო განათლების მქონე

"ჩვენი მთავრობა ყველანაირად უწყობს ხელს რუსების აქ ჩამოსვლასა და დამკვირდებას. ცდილობენ, ჩვენი პროდასავლური გეზი შეცვალონ მოსკოვით." - 19 წლის, სამართლის სტუდენტი

მონაწილეთა აზრით, საქართველოს მთავრობის ამგვარი პრორუსული/ანტიდასავლური კურსი ეწინააღმდეგება საქართველოს მოსახლეობის საერთო სულისკვეთებას - ევროინტეგრაციისკენ

სწრაფვას და ქართველების მიერ დასავლეთისკენ გადადგმულ ნაბიჯებსა და ევროპასთან დაახლოებაში ჩადებულ ენერგიას აუფასურებს:

"ვუახლოვდებით რუსეთს და ვშორდებით იმ ევროპულ გზას, რომელზეც მრავალმა ქართველმა თავი გასწირა, წყალში გვეყრება ამდენი წვალება. [მთავრობას] მივყავართ რუსეთისკენ, სადაც საუკუნეებია არ გვინდა. ვნახეთ, მათთან თანაცხოვრებას რა დამანგრეველი შედეგები მოაქვს." - 21 წლის, სოციალური მუშაობის სტუდენტი

საქართველოს მთავრობისადმი დამოკიდებულება

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებისათვის ხელისუფლების რეაქცია რუსული მიგრაციის ტალღაზე მოულოდნელი არ ყოფილა. მიიჩნევენ, რომ მთავრობა რუსეთის პოლიტიკის მიმართ გაუმართლებელ სიფრთხილეს იჩენს. სწორედ ლოიალური რეგულაციების გამო გაიზარდა მიგრაციის მასშტაბები და უნდა ველოდოთ, რომ რუსი მიგრანტები საქართველოში ინტეგრაციას შეძლებენ.

"ჩემი მოსაზრება და დამოკიდებულება არ შეცვლილა, არაფერი გამკვირვებია, პირიქით, უფრო გამიკვირდებოდა, სხვანაირად რომ მოქცეულიყვნენ. ერთადერთი, რაც მომწონს ამ მთავრობაში, ის არის, რომ ზუსტად ვიცით რას წარმოადგენენ, ვინ არიან, ვისი გავლენაა და სიურპრიზები არ არის ხოლმე." - 21 წლის, პროგრამისტი

რამდენიმე მონაწილე აღნიშნავს, რომ გაუმძაფრდა უარყოფითი ემოციები საქართველოს მთავრობის მიმართ რუსული მიგრაციის გაძლიერების შემდეგ, თუმცა აღნიშნული ზოგადად მიგრაციისადმი სამთავრობო პოლიტიკას არ უკავშირდება, არამედ კონკრეტულად ე.წ. "რუსული კანონის" შემოღების მცდელობას:

"უარყოფითი ყოველთვის. ომამდეც, ომის დროსაც და რუსული კანონის მიღების შემდეგ უფრო მეტად უარყოფითი." - 23 წლის, პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი

ზოგიერთი მონაწილე ფიქრობს, რომ რუსეთის მიმართ საქართველოს მთავრობის არგაღიზიანების პოლიტიკა კიდევ უფრო აშკარა გახდა რუსეთ-უკრაინის ომისა და რუსული მიგრაციის ტალღის გაძლიერების შემდეგ:

"თუ აქამდე საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს ჰქონდა რაღაც კითხვის ნიშნები, ახლა ეს ცხადი გახდა. თვითონ გაყიდეს თავიანთი თავი და თავიანთი დამოკიდებულება რუსეთისადმი." - 25 წლის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი

რუსი მიგრანტების საქართველოში ინტეგრაცია

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ რუსი მიგრანტების ინტეგრაცია საქართველოში უფრო რთული იქნება ახალგაზრდებთან, ვიდრე უფროს თაობასთან, რადგან უფროსი თაობა რუსებისადმი ტოლერანტულადაა განწყობილი.

მიუხედავად ამისა, ინტეგრაციას დააბრკოლებს ფუნდამენტური განსხვავებები რუსებსა და ქართველებს შორის, რაც უკავშირდება ენობრივ ბარიერს, კულტურულ განსხვავებებს, რუსული ოკუპაციის პრობლემას, უკრაინის მიმართ მხარდაჭერას და სხვ. მონაწილეებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩამოთვლილი განსხვავებები ერებს შორის და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტური ურთიერთობების შედეგად არსებული პოლიტიკური ვითარება გადაილახოს და რუსმა მიგრანტებმა ქართველებთან ჰარმონიული თანაცხოვრება შეძლონ:

"დიდი ეროვნული ბარიერია. ჩვენს თაობაში რუსულ ენას არ ფლობენ, ეს კომუნიკაციას ართულებს და ეს მნიშვნელოვანი საკითხია. კულტურული განსხვავებაცაა, სლავები და კავკასიელები ძალიან გასხვავდებიან. ერთადერთი, საერთო რელიგია გვაქვს, ისინიც მართლმადიდებლები არიან, თუმცა კარგად თუ ჩავიხედებით საკითხში, რუსული მენტალიტეტი დგას თავიდან ბოლომდე ათეიზმზე და არა მართლმადიდებლობაზე, შესაბამისად, პიროვნულ ურთიერთობებშიც გამოიხატება ეს ბარიერები ქართველებსა და რუსებს შორის. ქართველი თავისი იდენტობით უკავშირდება იდეალიზმსა და მართლმადიდებლობას." - 19 წლის, პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტი

და ბოლოს, მონაწილეთა უმრავლესობა რუსი მიგრანტების ყველაზე დიდ გავლენის სფეროდ ასახელებს ეკონომიკას, კულტურასა და პოლიტიკას. სამივე სფერო, შეიძლება ითქვას, თანაბარი პოპულარობით სახელდება:

"ეკონომიკაზე და კულტურულ მდგომარეობაზე. პოლიტიკაზეც. რომელი გამოვარჩიო არ ვიცი." - 19 წლის, პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტი

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ თბილისში რუსული მიგრაციის ტალღა გაძლიერდა. მიგრაციამ გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტზე: ყოველდღიურობაზე, ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, შრომაზე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თბილისი ეთნიკურად მრავალფეროვანი ქალაქია და, ზოგადად, თბილისელები ქსენოფობიური განწყობით არ ხასიათდებიან. მიუხედავად ამისა, რუსული მიგრაციისადმი საერთო ნეგატიური დამოკიდებულება გამოიკვეთა.

თბილისელებისთვის ცენტრალური მნიშვნელობისაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. ეს სენსიტიური საკითხია და დიდწილად განსაზღვრავს თბილისელი ახალგაზრდების

დამოკიდებულებას რუსი მიგრანტების მიმართ. მიმდინარე მცოცავი ოკუპაცია იმპერიალისტური, ანტიდემოკრატიული, ანტიდასავლური რუსული მენტალიტეტის შედეგია. შესაბამისად, თბილისელების არაკეთილგანწყობა რუსი მიგრანტებისადმი პოლიტიკური ასპექტით შეიძლება აიხსნას.

თბილისელებს რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებების რუსეთ-უკრაინის ომამდეც ეშინოდათ. ჩრდილოეთიდან მომავალი პოლიტიკური საფრთხეები რუსული მიგრაციის ტალღის გაძლიერების შემდეგ უფრო რეალური და მასშტაბური გახდა. რუსი მიგრანტების ყველა სფეროში ინტეგრაციით ნელი ტემპით მიმდინარეობს საქართველოს რუსიფიკაციის პროცესი, საფრთხის ქვეშ დგება ქართველების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა და ეროვნული თვითმყოფადობა. ენობრივი გარემოს ცვლილება ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია.

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებმა, შესაბამისად, კვლევის შედეგები მხოლოდ ახალგაზრდების პერსპექტივის ანალიზს წარმოადგენს. მათი აზრით, ახალგაზრდებისგან განსხვავებით, უფროსი თაობა ზოგადად უცხოელების მიმართ არაკეთილგანწყობილია, თუმცა, რუსების მიმართ - პირიქით. ამრიგად, რუსების საქართველოში ინტეგრაციისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორი სწორედ ახალგაზრდების არალოიალური დამოკიდებულება იქნება.

ბიბლიოგრაფია

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები*. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Darieva, T., & Golova, T. (2023, October 6). *Russian Migrants in Georgia and Germany: Activism in the Context of Russia's War against Ukraine*. Centre for East European and International Studies (ZOiS).

Kakachia, K., & Kandelaki, S. (2022, December). *The Russian Migration to Georgia: Threats or Opportunities?* PONARS Eurasia.

Krawatzek, F., DeSisto, I., & Soroka, G. (2023, May 3). *Russians in the South Caucasus: Political Attitudes and the War in Ukraine*. Centre for East European and International Studies (ZOiS).

Kuleshova, A., Chigaleichik, E., Podolsky, V., & Baranova, V. (2023, May 29). Russian migration to Armenia and Georgia in 2022: Enclave Economy and Local Employment. *Caucasus Edition: Journal of Conflict Transformation*. www.caucasusedition.net/russian-migration-to-armenia-and-georgia-in-2022-enclave-economy-and-local-employment/

Meduza. (2023, May 26). Georgian President Salome Zourabichvili criticizes government for appeasing Russia and drifting away from Europe. *Meduza*. www.meduza.io/en/news/2023/05/26/georgian-president-salome-zourabichvili-criticizes-government-for-appeasing-russia-and-drifting-away-from-europe

Silagadze, G. (2023, September). *Life of Russian Émigrés in Georgia*. Caucasus Research Resource Center Georgia.

Transparency International Georgia. (2023, September 29). Georgia's Economic Dependence on Russia Continues to Grow: January-June 2023. *Transparency International Georgia*. www.transparency.ge/en/post/georgias-economic-dependence-russia-continues-grow-january-june-2023

Zanatta, L. (2023, November 6). The Impact of Russian Migration in Georgia. *ISPI*. www.ispionline.it/en/publication/the-impact-of-russian-migration-in-georgia-151256